



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

სსიპ იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

მერი ქვრივიშვილი

წევრ(ებ)ი:

მარიკა კირვალიძე

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

- ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება
- მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა
- იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება
- ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

გეგმიური

არაგეგმიური

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	235 443 926

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	მარტვილის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი ინჩხური
საფოსტო ინდექსი	3100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://bit.ly/4bwRSAL
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	inchkhuri@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	577299412

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 4 26 0000191947; 19/02/2026წ.
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მიმდინარე წლის 9 მარტს ექსპერტთა ჯგუფს (დოკუმენტების შესწავლით) დაგვევალა „სსიპ იოანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლის“ დებულების მე-5 მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული „ა“ პუნქტის „ა.ა“, და „ა.ბ“ ქვეპუნქტების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება (გეგმური მონიტორინგი).

დოკუმენტების წარდგენის შემდგომ სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა დამატებითი მტკიცებულებები.

საბოლოოდ ექსპერტთა ჯგუფმა წაროდგენილ მასალაზე დაყრდნობით შეაფასა ზემოხსენებული პუნქტების შესაბამისობა სტანდარტებთან და შედგა ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
200	143

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ პოზიციის დაფიქსირებისას წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებების პაკეტი, რის საფუძველზეც ინდიკატორები 1.2.1.4; 1.2.2.1; 1.2.2.4 1.2.2.2 და 1.2.2.3, რომლებიც პროექტის ფაზაზე იყო შეფასებული როგორც „არ შეესაბამება“, წარმოდგენილი მასალების მიხედვით შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება

<p>კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება</p>	<p><input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება</p>
<p>სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა</p>	<p><input type="checkbox"/> შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება</p>
<p>კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა</p>	<p><input type="checkbox"/> შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება</p>
<p>კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება</p>	<p><input type="checkbox"/> შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება</p>
<p>კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა</p>	<p><input type="checkbox"/> შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება</p>
<p>კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება</p>	<p><input type="checkbox"/> შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება</p>
<p>კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა</p>	<p><input type="checkbox"/> შეესაბამება</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება</p>

	<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი NI	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)¹

სტანდარტი NI	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
ინდიკატორი N....		

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი NI	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N...		
1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	მისიის ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისათვის შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ გარკვეულ შეხვედრებზე არ ხდება მოსწავლეთა თვითმართველი წევრის დასწრება. სასურველია სამუშაო ჯგუფის ყველა სხდომაზე, მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანხმად, მოხდეს მოსწავლეთა თვითმართველობის წარმომადგენლის დასწრება.
1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	სასურველია, დაწესებულებამ გადახედოს სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილ “შემსრულებლების” გრაფას და შეარჩიოს ისინი უფრო დაბალანსებულად, ისე რომ პროცესში მხოლოდ მასწავლებლები არ იყვნენ ჩართულნი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რამდენიმე აქტივობასთან მიმართებით. კერძოდ, ციფრული ტექნოლოგიების კომპეტენციების განვითარების ორივე ამოცანაში პასუხისმგებელ პირებად მითითებულია მხოლოდ მასწავლებლები, რაც ზღუდავს აღნიშნული ამოცანების ეფექტიან განხორციელებას. ამ მიმართულებით აუცილებელია სკოლის ღირეფციისა და სხვა შესაბამისი თანამშრომლების

		აქტიური ჩართულობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროცესის კოორდინაცია, მხარდაჭერა და მდგრადობა.
1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.	სასურველია, სკოლამ სამოქმედო გეგმა გაწეროს სტრუქტურირებულად და ყველა მიმართულება დაუკავშიროს შესაბამის სტრატეგიულ მიზანთან.
1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	სასურველია, სამოქმედო გეგმაში, ყოველ აქტივობასთან მიმართებით, განისაზღვროს გაზომვადი ინდიკატორი და დაკონკრეტდეს განხორციელებისთვის საჭირო რესურსი
1.2.2.1	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს	სასურველია დაზუსტდეს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის პერიოდულობა
1.2.2.2	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო	სასურველია სკოლამ მონიტორინგისათვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფორმირება და შემადგენლობა განსაზღვროს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად

	გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.	და ჯგუფის შემადგენლობაში შეიყვანოს სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებიც: მოსწავლე/წარმომადგენელი თვითმართველობიდან და მშობელი.
1.2.2.4.	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის	სასურველია სკოლამ კოლეგიალური ორგანოს სხდომების ოქმების წარმოებისას უზრუნველყოს თარიღების სიზუსტე.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე

სტანდარტი 1	წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები	შესრულების სტატუსი
1.1.1.2	სკოლამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს ხედვა, რომლითაც განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო	შესრულდა

	საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (10/15/2023 - მდე	
1.1.1.3	სკოლამ, სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შეიმუშაოს მისია, ხედვა და ღირებულებები, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (10/15/2023 - მდე)	შესრულდა
1.1.1.4	სკოლამ უზრუნველყოს მისიის, ხედვის და ღირებულებების, გაზიარება სასკოლო საზოგადოებისათვის, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (11/7/2023- მდე	შესრულდა
1.1.1.5	სკოლამ უზრუნველყოს დამტკიცებული მისიის, ხედვის და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობა, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (11/20/2023-მდე	შესრულდა
1.2.1.2	სკოლამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (12/12/2023 - მდე)	შესრულდა
1.2.1.4	სკოლამ სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, ასევე შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი	შესრულდა

	რესურსები, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (12/25/2023 - მდე)	

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. მისიაში ცენტრალური აქცენტებია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებული აქტიური მოქალაქის აღზრდაზე. ხედვა კი მომავლის პერსპექტივაში კრიტიკულად მოაზროვნე და კულტურული მრავალფეროვნების დამცველ პიროვნების ჩამოყალიბებას უსვამს ხაზს, რაც განაპირობებს მოსწავლეების წარმატებულ ჩართულობას კულტურულ, საზოგადოებრივ, ზნეობრივ და ტექნოლოგიურად სწრაფად ცვალებად გლობალურ გარემოში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სკოლას წარმოდგენილი მისიით განსაზღვრული აქვს, რომ ხელს უწყობს არაფორმალური განათლების განვითარებას და მოსწავლეთა მხარდამჭერი ინიციატივების წახალისებას, ასევე სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიების განვითარებას და ციფრული ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენებას. ხედვით კი მოსწავლეებში თანასწორობის სამართლიანობის და პასუხისმგებლობის განვითარების აქცენტებს უსვამს ხაზს. ამასთან სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის

საფუძველზე გამოიკვეთა, რომ არაფორმალური განათლების პრინციპებზე დაყრდნობით სკოლა ქმნის უსაფრთხო, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურული სივრცეს, რომელშიც გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესი, შექნილია გარემო, რომელიც საშუალებას აძლევს სასკოლო საზოგადოების წევრებს ჩაერთონ სასკოლო კულტურის ფორმირებისა და განვითარების პროცესში. სკოლა მხარს უჭერს არაფორმალური აქტივობებს. დირექციის მხარდაჭერით სკოლა აქტიურად მუშაობს სასკოლო პროექტებისა და აქტივობების განხორციელებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლამ წარმოადინა მისიის ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისათვის შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება (N 2-26 / 5.09.2023წ). ასევე სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები, რომლების ადასტურებს როგორც ფილოსოფიის იდეების, მოსაზრებების და წინადადებების განხილვას, ასევე პროექტის წარდგენას. შემუშავებაში ჩართულობას ადასტურებს ასევე კითხვარები, რომელიც ასახავს სასკოლო საზოგადოების აზრის კვლევას და უკუკავშირს. კვლევის ანალიზს ახორციელებს სამეურვეო საბჭო (სხდომის ოქმი N2 19.09.2023წ) . შესაბამისად, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

მისიის ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისათვის შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ გარკვეულ შეხვედრებზე არ ხდება მოსწავლეთა თვითმართველი წევრის დასწრება. სასურველია სამუშაო ჯგუფის ყველა სხდომაზე, მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანხმად, მოხდეს მოსწავლეთა თვითმართველობის წარმომადგენლის დასწრება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი განთავსებულია სკოლის ვებ. გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სასკოლო საზოგადოებას აქვს მისი გაცნობის, მოსაზრებების გამოთქმისა და უკუკავშირის მიწოდების საშუალება. ამასთანავე, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის ნაწილი, რომელიც შემუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ, განხილული და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე (ოქმი N5; 10.10.2023წ.). ყოველივე კი დასტურდება შესაბამისი სხდომის ოქმებით, ამრიგად სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებული და მიღებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. საბოლოოდ, დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე იკვეთება სასკოლოს საზოგადოების ჩართულობა და გაზიარება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე. გარდა ამისა, ისინი გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე, რათა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მარტივად შეეძლოს მათი გაცნობა. შესაბამისად სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

საჯარო რეესტრის ამონაწერიდან დგინდება, რომ სკოლის სახელწოდებაა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „იონანე მინჩხის სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ინჩხურის საჯარო სკოლა“, რაც გამომდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებიდან „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბ. შესაბამისად სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მისიის ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისათვის შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება (N 2-26 / 5.09.2023წ.);

სკოლის მისიის ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისათვის შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის ოქმი(N1;7.09.2023წ.);

სკოლის მისიის ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისათვის შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის ოქმი(N3;11.09.2023წ.);

სკოლის მისიის ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისათვის შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის ოქმი(N6;3.10.2023წ.);

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად(ბრძანება N 2/46; 5.09.2023წ.);

პედაგოგიური საბჭოს სხდომა (ოქმი N5; 10.10.2023წ.);

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

სკოლის ვებ.გვერდი <https://bit.ly/4bwRSAL>

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს.

მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება თანამონაწილეობის, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების

პრინციპებს. აღნიშნულ პროცესში ჩართულები არიან სკოლის დირექცია, სასკოლო საზოგადოება (სკოლის ადმინისტრაცია, მშობელი, მოსწავლე/მოსწავლეთა თვითმმართველობა, მასწავლებელი), სამეურვეო საბჭო და თემი.

სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დაწყების წინ დირექტორი ქმნის სამუშაო ჯგუფს. ჯგუფს ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე. სამუშაო ჯგუფის წევრებად ბრძანებით განისაზღვრებიან: სკოლის დირექციის წარმომადგენლები, მასწავლებლები/წარმომადგენლები კათედრებიდან, მოსწავლე/წარმომადგენელი მოსწავლეთა თვითმმართველობიდან, მშობელი.

მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ა) სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება
- ბ) პროექტის გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის/თემისთვის
- გ) მიღებული უკუკავშირის მიღება/გათვალისწინება
- დ) სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების საბოლოო სახით ფორმირება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა
- ე) სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების განხილვა და სამეურვეო საბჭოსთვის წარდგენა შესათანხმებლად
- ვ) სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცება დირექტორის მიერ და გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.

სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში იყენებს swot-ის მეთოდოლოგიას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. კერძოდ, სკოლის მისიაში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხის მიღწევას, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ასევე - ციფრული მოქალაქეობის ჩამოყალიბებას. სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული სამი მიზანი: სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, ციფრული ტექნოლოგიების კომპეტენციების განვითარება და მათი ინტეგრირება სასწავლო პროცესში, ასევე არაფორმალური განათლების განვითარება და მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა- შესაბამისობაშია სკოლის მისიასთან.

გეგმა ასევე მოიცავს თითოეულ სტრატეგიულ მიზანთან დაკავშირებულ კონკრეტულ ამოცანებს. მაგალითად, ციფრული ტექნოლოგიების კომპეტენციების განვითარების ფარგლებში ერთ-ერთ ამოცანად განსაზღვრულია პედაგოგთა ციფრული უნარების განვითარება. ხოლო არაფორმალური განათლებისა და მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდის მიმართულებით ამოცანებად წარმოდგენილია მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარება, კლუბური და პროექტული სწავლების გაძლიერება, ასევე სკოლისა და ადგილობრივ თემს შორის თანამშრომლობის გაძლიერება.

სასურველია, დაწესებულებამ გადახედოს სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილ “შემსრულებლების” გრაფას და შეარჩოს ისინი უფრო დაბალანსებულად, ისე რომ პროცესში მხოლოდ მასწავლებლები არ იყვნენ ჩართულნი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რამდენიმე აქტივობასთან მიმართებით. კერძოდ, ციფრული ტექნოლოგიების კომპეტენციების განვითარების ორივე ამოცანაში პასუხისმგებელ პირებად მითითებულია მხოლოდ მასწავლებლები, რაც ზღუდავს აღნიშნული ამოცანების ეფექტიან განხორციელებას. ამ მიმართულებით აუცილებელია სკოლის დირექციისა და სხვა შესაბამისი თანამშრომლების აქტიური ჩართულობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროცესის კოორდინაცია, მხარდაჭერა და მდგრადობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმასა და ყოველწლიურ თვითშეფასების შედეგებს. დოკუმენტში განსაზღვრულია მიზნები, ამოცანები და შესაბამისი აქტივობები.

კერძოდ, შეფასების სისტემის დახვეწის ამოცანის საპასუხოდ, სკოლას გაწერილი აქვს ისეთი აქტივობები, როგორცაა მრავალფეროვანი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება და განმავითარებელი შეფასების სისტემის გაძლიერება. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია შემდეგი აქტივობები: პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება, საგნობრივი კათედრების გააქტიურება, პედაგოგთა წარმატებული პრაქტიკის გაზიარება როგორც სკოლის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

სამოქმედო გეგმაში ცალკე მიმართულებად გამოყოფილია “მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება”. გეგმაში არ ჩანს რომელ სტრატეგიულ მიზანს უკავშირდება იგი. ასევე გეგმაში დამოუკიდებელ კომპონენტად წარმოდგენილია „მონიტორინგი და შეფასება“. არც ამ მიმართულების სტრატეგიულ მიზანთან კავშირი იკვეთება. სასურველია, სკოლამ სამოქმედო გეგმა გაწეროს სტრუქტურირებულად და ყველა მიმართულება დაკავშირებული იყოს შესაბამის სტრატეგიულ მიზანთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სკოლას აქვს დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები.

მაგალითად, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევის განხორციელებაზე პასუხისმგებელ ერთეულად განსაზღვრულია დირექცია და საგნობრივი კათედრები, ხოლო შესრულების ინდიკატორებად წარმოდგენილია საგნობრივი კათედრების ოქმები, პედაგოგიური საბჭოს ოქმი და სასკოლო სასწავლო გეგმა.

სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის ანალიზმა აჩვენა, რომ რიგ შემთხვევებში შესრულების ინდიკატორები არ არის ფორმულირებული გაზომვადობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, დიფერენცირებული და აქტიური სწავლების გამოყენების აქტივობის შეფასების ინდიკატორად მითითებულია ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი მასალა, ციფრული პლატფორმების სასწავლო პროცესში დანერგვის ინდიკატორად მითითებულია აქტივობებში მონაწილეობის ამსახველი მასალა და სხვ. აღნიშნული ინდიკატორები არ არის აქტივობის შესრულების გაზომვადი ინდიკატორები. სასურველია სკოლამ სამოქმედო გეგმის შესრულებისთვის თითოეულ აქტივობასთან მიმართ გათვალისწინებული შესრულების ინდიკატორები ჩამოაყალიბოს გაზომვადობის პრინციპით.

პროექტის ფაზაზე სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი სამოქმედო გეგმაში აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო რესურსები. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმის სახეცვლილი ვერსია (სამეორვე საბჭოს სხდომის ოქმი №7 სამოქმედო გეგმის ცვლილების თაობაზე; 26.03.2026წ.), სადაც კონკრეტულ აქტივობებთან მიმართებით მითითებულია შესაბამისი რესურსები, თუმცა რიგ შემთხვევებში არაა დაკონკრეტებული და ზოგადი ფრაზებით გამოიხატება, შესაბამისად სასურველია სკოლამ დააკონკრეტოს სამოქმედო გეგმის თითოეულ აქტივობასთან განხორციელებისთვის საჭირო რესურსი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს

სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ფორმები და პერიოდულობა ერთადაა განხილული, მათ შორის ფუნქციურადაც. წარმოდგენილ დოკუმენტში განსხვავებები არ იკვეთება. ვინაიდან სტრატეგიული გეგმა ვერ შეფასდება მინიმუმ სასწავლო წლის ბლომდე, რადგან სემსტრების მიხედვით აღნიშნულ დოკუმენტში ვადები არაა გაწერილი, ასევე ამ ორი დოკუმენტის მონიტორინგის სპეციფიკაც შინაარსიდან გამომდინარე უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, მონიტორინგის ერთიანად წარმოდგენა ამცირებს როგორც სტრატეგიული გეგმის პროგრესის რეალურ შეფასებას, ისე სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შესაძლებლობას და ფორმალურ ხასიათს ანიჭებს მთელ დაგეგმვის ციკლს. ყოველივე კი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ სკოლას სათანადოდ არ აქვს გააზრებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ურთიერთკავშირი და სპეციფიკა.

ამასთან სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი გულისხმობს მონაცემების სისტემურ შეგროვებას გეგმაში განსაზღვრული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. მონიტორინგის ფარგლებში სკოლის დირექტორი ამზადებს ანგარიშს სამეურვეო საბჭოს წინაშე, რომელიც ეფუძნება სემესტრული და წლიური შედეგების ანალიზს, მშობლების უკუკავშირის განხილვას და სხვა შესაბამის ინფორმაციას.

პროექტის ფაზაზე სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში მკაფიოდ არ იყო გამიჯნული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, მათი მონიტორინგის ფორმა, შინაარსი და პერიოდულობა, არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა სახეცვლილი მეთოდოლოგია, სადაც გათვალისწინებული იყო მითითებები, თუმცა სასურველია აღნიშნულ მეთოდოლოგიაში დაზუსტდეს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის პერიოდულობა, რადგან ჩანაწერი არაერთგვაროვანია და განსხვავებულ ვადებს გულისხმობს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმის №1-ის (20 იანვარი, 2026) მიხედვით, ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ანგარიში სკოლის სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების შესახებ. ანგარიშში ასახულია განხორციელებული ღონისძიებები, მიღწეული შედეგები, გამოვლენილი სირთულეები და მათი გადაჭრის შესაძლო გზები.

მომხსენებლის განმარტებით, შიდა მონიტორინგი მოიცავს გაკვეთილებზე დაკვირვებას, სასწავლო პროცესის ანალიზს, პროექტებისა და სხვა აქტივობების მიმდინარეობის შეფასებას. წარმოდგენილი ოქმის მიხედვით, სამოქმედო გეგმით

განსაზღვრული აქტივობების უმეტესობა შესრულებულია, დოკუმენტში მოცემულია განხორციელებული აქტივობების ჩამონათვალი. თუმცა, არ ჩანს როგორ მოხდა სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინება.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იკვეთება მონიტორინგის ჯგუფის შექმნის/დამტკიცების შესახებ ინფორმაცია, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფისთვის გაურკვეველია მისი სრული შემადგენლობა, ფუნქციები და უფლებამოსილების ფარგლები. წარმოდგენილი ოქმისა და ბრძანების (მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმი №1, 20 იანვარი, 2026, ბრძანება # 2/57, 20.11.2023) მიხედვით იკვეთება, რომ მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი და სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე ერთი და იგივე პირია, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს პროცესების ობიექტურობაზე. ასევე გაურკვეველია, ერთსა და იმავე ჯგუფზე საუბარი თუ სხვადასხვა ჯგუფებზე, ვინაიდან ისინი დოკუმენტაციაში განსხვავებული სახელწოდებებით არის მოხსენიებული.

პროექტის ფაზაზე სკოლას მეთოდოლოგიის შესაბამისად, არ ჰქონდა განხორციელებული სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარადგინა სტრატეგიული გეგმის არაგეგმიური მონიტორინგის მტკიცებულება (პედ. საბჭოს სხდომის ოქმი #3; 30.03.2026წ.) სადაც სასკოლო საზოგადოების ანკეტირების საფუძველზე ხდება გეგმის მუშაობის შეფასება, ასევე წარდგენილია ერთწლიანი სამოქმედო გეგმის სემესტრული მონიტორინგის ამსახველი მასალა, თუმცა, სასურველია სკოლამ მონიტორინგისათვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფორმირება და შემადგენლობა განსაზღვროს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად და ჯგუფის შემადგენლობაში შეიყვანოს სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებიც: მოსწავლე/წარმომადგენელი თვითმართველობიდან და მშობელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები მონიტორინგის ფაზაზე არ იყო საჯაროდ ხელმისაწვდომი. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ქონდა მოქმედი ვებგვერდი, აღნიშნულ პლატფორმაზე შესაბამისი ინფორმაცია განთავსებული არ იყო. ამასთანავე, სკოლამ ვერ წარმოადგინა საჯაროობის უზრუნველყოფის ალტერნატიული მექანიზმები, რაც ზღუდავდა დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და გამჭვირვალობას.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარადგინა სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის კოლეგიალური ორგანოს სხდომაზე განხილვის მტკიცებულება. ხოლო ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში აიტვირთა სკოლის ვებგვერდზე, რითაც უზრუნველყოფილია გეგმების განხორციელების გამჭვირვალობა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სკოლამ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს ოქმი №2, რომლის დღის წესრიგით განსაზღვრული იყო მოსწავლეთა საჭიროებების კვლევის შედეგების ანალიზი და შეფასება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლამ 2025–2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრის ბოლოს განახორციელა მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა ტესტირების გზით.

როგორც პედაგოგიური საბჭოს ოქმში იკითხება, კვლევის მიზანი იყო მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირება, სწავლა-სწავლების პროცესში არსებული სირთულეების გამოვლენა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაზე

ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვა. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით სკოლას შემუშავებული აქვს შესაბამისი რეკომენდაციები, მათ შორის დამატებითი საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება და დიფერენცირებული მიდგომების გაძლიერება.

სკოლის მიერ წარმოდგენილი ანალიზი ეფუძნება მხოლოდ ტესტირების შედეგებს, თუმცა დოკუმენტაციაში არ იკვეთება, თუ როგორ არის გათვალისწინებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით განსაზღვრული სხვა ინსტრუმენტებიდან მიღებული უკუკავშირი. ამასთან, სკოლას მიეცა რჩევა, ოქმების წარმოებისას უზრუნველყოს თარიღების სიზუსტე და ოქმში აღწერილ პროცესებთან თანხვედრა, ვინაიდან წარმოდგენილ ოქმში მითითებული თარიღი (22.10.2026) არ შეესაბამება აღწერილ პროცესს.

პროექტის ფაზაზე არ დადასტურდა, რომ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით განსაზღვრული ინსტრუმენტების გამოყენებით მიღებული შედეგები, მიზანმიმართულად გამოიყენებოდა სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. დოკუმენტაციაში არ იყო წარმოდგენილი, თუ როგორ აისახა აღნიშნული შედეგები მიღებულ გადაწყვეტილებებსა და დაგეგმილ ღონისძიებებზე, რაც აუცილებელია მტკიცებულებებზე დაფუძნებული დაგეგმვის რეალური პრაქტიკის დასამკვიდრებლად. არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კათედრების თავმჯდომარეების ანგარიშები (ოქმი №2; 20.03.2026), სადაც პედაგოგები შედეგებზე დაყრდნობით მსჯელობენ დაკვირვების შედეგად გამოვლენილ საკითხებზე, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სკოლის შემდგომი განვითარების ინდიკატორებად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია;
- მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმის №1-ის (20 იანვარი, 2026);
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი #2 (22.10.2026 წელი);
- ბრძანება # 2/57, 20.11.2023
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის დოკუმენტი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.
 - შეესაბამება
 - მეტწილად შეესაბამება
 - ნაწილობრივ შეესაბამება
 - არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი 6 . 04. 2026წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მ. ხუცი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მ. ხუცი